ხელშეკრულება N01–38/176

ქ. ბათუმი

07 სექტემბერი 2016 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად ერთის მხრივ სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო (შემდგომში "შემსყიდველი), მისი უფროსის თემურ ყურშუბაძის სახით და მეორეს მხრივ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო (შემდგომში გამყიდველი/მიმწოდებელი) მისი უფროსის თორნიკე გვაზავას სახით.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1.გამყიდველი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს დანართი N1-ით განსაზღვრული 15000 (თხუთმეტი ათასი) ცალი სპეციალური ფირნიში "CPV44423400" (შემდგომში საქონელი), ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. საქონლის ღირებულება და მომსახურების მიღება-ჩაბარება

2.1. მთლიანი სახელშეკრულება თანხა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით შეადგენს 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარს.

2.2 საქონლის ერთეულის ღირებულება შეადგენს 0.50 ლარს.

2.3. საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.4. მიღება ჩაბარებას ახორციელებენ სათანადო უფლებამოსილი პირები, გამყიველის მხრიდან, ადმინისტრაციული დეპარტამენტის საფინანსო სამმართველოს მთ. ბუღალტერი ეთერ რეხვიაშვილი, ხოლო შემსყიდველის მხრიდან თემურ ქურიძე.

3.საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი.

3.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ამ ხელშეკრულების მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. საქონლის მიწოდება ხორციელდება გამყიდველის მისამართაზე ქ. თბილისი, გ.გულუას ქ.6.

4. მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1. მყიდველი ვალდებულია სრულად და დადგენილ ვადებში გადუხადოს გამყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.2. გამყიდველმა მყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვას მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავიანთი ვალდებულებები.

4.3. მხარეები უფლებამოსილნი არიან მოითხოვონ ერთმანეთისაგან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების განუხრელი შესრულება.

4.4. მყიდველი ვალდებულია გამყიდველისაგან მიღებული საქონელი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ და აღრიცხოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. ანგარიშსწორება

5.1. მყიდველი გამყიდველთან ანგარიშსწორებას განახორციელებს საქონლის მიღების შემდეგ, მიღებიდან არაუმეტეს 10 დღისა.

5.2. მყიდველი ვალდებულია საქონლის მიღებისა და მისი ღირებულების გამყიდველის ანგარიშზე ჩარიცხვის შემდეგ მიაწოდოს გამყიდველს თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.3. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით და ლარებში.

6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა, ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

6.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. უფლებათა გადაცემა

7.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არც მთლიანად, არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

8. ხელშეკრულებების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

8.1. ანგარიშსწორების ვადის 5 (ხუთი) სამუშაო დღით გადაცილების შემთხვევაში გამყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მყიდველს საქონლის სრულად და დაუზიანებლად დაბრუნება.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა და თანხის მიზნობრივად ხარჯვის კონტროლი.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი

მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია კანონით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

12. შეტყობინება

12.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხრივ, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

12.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მოწოდების ვადა

13.1. საქონლის მოწოდების/მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 2016 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით

13.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო	სსიპ აჭარის სატყეო სააგენტო
მის: ქ.თბილისი, გულუას ქ. 6	მის: ქ.ბათუმი, ფრ.ხალვაშის გამზრი N51
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში	მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ანგარიშის N 707367499	ანგარიშის N 740397499
მ/ბ სახელმწიფო ხაზინა	მ/ბ სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22	ბანკის კოდი TRESGE22
ს/კ 204578581	ს/კ 245631428
სააგენტოს უფროსი	სააგენტოს უფროსი
თორნიკე გვაზავა	თემურ ყურშუბაძე

დანართი 1

ცხრილი მისაწოდებელი საქონლისა და ფასების შესახებ

მისაწოდებელი საქონელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
სამაგრი ფირნიში	15000	0,50 ლ	7500ლარი
ს უ ლ			7500 ლარი

აჭარის სატყეო სააგენტოს უფროსი თემურ ყურშუბაძე

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. ბათუმი

09 სექტემბერი 2016წ

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2016 წლის 07 სექტემბრის N01-38/176 ხელშეკრულების საფუძველზე სსიპ „ბუნებრივი რესურსების სააგენტომ“ მოგვაწოდა, ხოლო სსიპ აჭარის სატყეო სააგენტომ მიიღო მოწოდებული საქონელი დანართი 1-ის შესაბამისად, რომლის ღირებულებამ შეადგინა 7500 (შვიდი ათას ხუთასი) ლარი.

მისაწოდებელი საქონელი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
სამაგრი ფირნიში	15000	0,50 ლ	7500ლარი
ს უ ლ			7500 ლარი

აჭარის სატყეო სააგენტოს ადმინისტრაციული სამსახურის მძღოლი

ზურაბ შარაბიძე

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

თორნიკე გვაზავა